

## საქართველოს კანონი

### „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი, N 007) მე-6 მუხლს დაემატოს:

ა) შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup> პუნქტი:

„5<sup>1</sup>. ტურისტული პროდუქტის (ტურისტული მომსახურების პაკეტის) რეალიზებისას მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ინფორმაციასთან ერთად უნდა მიუწოდოს ინფორმაცია:

ბ) იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებით განხრების მანძილზე სთავაზობს ტუროპერატორი ან ტურაგენტი;

გ) მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად;

დ) ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისა და იმ სასტუმროს შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები), რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების პაკეტით;

ე) მიმღები ქვეყნის პოლიტიკის, პირველადი სამედიცინო დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ტურისტის უფლებების დაცვასა და მის უსაფრთხოებას;

ვ) საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ“.

ბ) შემდეგი შინაარსის 5<sup>2</sup> პუნქტი:

5<sup>2</sup>. საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში სამუშაოს მძიებელს ამ მუხლის 5<sup>1</sup> პუნქტის „ბ“, „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციასთან ერთად მიუწოდება ასევე ინფორმაცია:

ა) იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებით განხრების მანძილზე სთავაზობს დასაქმების კერძო სააგენტო;

ბ) იმ სასტუმროს ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი), სადაც საჩუქარის მძივებელი უნდა განერდეს.”

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*საქართველოს პრეზიდენტი*

*მიხეილ სააკაშვილი*